

ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გათავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.9 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.9 ბანკი უფლებამოსილია პლასტიკურ ბარათებთან / საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით პერიოდულად განახორციელოს წამახალისებელი პროექტები/პროგრამები, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ პლასტიკური ბარათ(ებ)ით ნივთის/მომსახურების შექმნისა და სს „თიბისი ბანკის“ პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით გადახდისას, ლოიალობის ქულების ბალანსზე ქულების დარიცხვასა და ამ ქულების განაღდების შესაძლებლობას სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში.“

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.10 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.10 ნივთს/მომსახურებას, რომელზეც გავრცელდება წამახალისებელი პროექტი/პროგრამა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბანკი განსაზღვრავს დამოუკიდებლად და შესაბამისი ინფორმაცია განთავსებული იქნება ბანკის ვებგვერდზე - www.ertguli.ge. ხსენებულ ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია პარტნიორი კომპანიების ჩამონათვალი/ინფორმაცია, მიმდინარე წამახალისებელი პროექტის/პროგრამის (მათ შორის პროექტში/პროგრამაში მონაწილე პლასტიკური ბარათ(ებ)ის) შესახებ ინფორმაცია, ლოიალობის ქულების ბალანსზე ქულების დარიცხვისა და განაღდების წესები /პროცედურები.“

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.11 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.11 ლოიალობის ქულების ბალანსზე დარიცხული ქულების განაღდება გულისხმობს კლიენტის მიერ ნივთის/მომსახურების შექმნისას, ნივთის/მომსახურების ღირებულების გადახდას ქულების კლიენტის მიმდინარე/საბარათე ანგარიშ(ებ)ზე გადატანის (გალარების) გზით, ასევე, წამახალისებელი პროექტის/პროგრამის ფარგლებში, სს „თიბისი ბანკის“ პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში (მათ შორის ელექტრონულ/ონლაინ მაღაზიებში), კლიენტი მიერ ნივთის/მომსახურების შექმნისას, ნივთის/მომსახურების ღირებულების გადახდას მობილური ბანკის მეშვეობით (QR კოდით) ლოიალობის ბალანსზე დარიცხული ქულებით (სს „თიბისი ბანკის“ პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით) (შემდგომში „ქულების განაღდება“).“

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.12 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.12 კლიენტი აცნობიერებს, რომ ამ ხელშეკრულების 12.1.9 ქვეპუნქტში მითითებული წამახალისებელი პროექტის/პროგრამის განხორციელება, აგრეთვე წამახალისებელი პროექტის/პროგრამის ფარგლებში ლოიალობის ქულების ბალანსზე ქულების დარიცხვა და/ან განაღდება (მათ შორის კლიენტის მოთხოვნისას ქულების მიმდინარე/საბარათე ანგარიშ(ებ)ზე გადატანის მოთხოვნის დაკმაყოფილება) არ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას და შესაბამისად, არ წარმოშობს კლიენტის უფლებას მოსთხოვოს ბანკს რაიმე სახის ვალდებულების შესრულება წამახალისებელ პროექტთან/პროგრამასთან/ქულების დარიცხვასთან / განაღდებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, არ დაარიცხოს კლიენტს ქულები ლოიალობის ქულების ბალანსზე და/ან შეზღუდოს ლოიალობის ქულების ბალანსზე დარიცხული ქულების განაღდება / გააუქმოს დარიცხული ქულები (მათ შორის, საეჭვო ტრანზაქციების შემთხვევაში). ამ ქვეპუნქტით ბანკისათვის მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება ბანკს შეუძლია იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტი პლასტიკურ ბარათს (რომლის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გამოყენების შემთხვევაში ლოიალობის ქულების ბალანსზე ხორციელდება ქულების დარიცხვა), იყენებს სამეწარმეო მიზნობრივობით.“

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.13 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.13 წინამდებარე ხელშეკრულების 12.1.10 ქვეპუნქტში მითითებულ ვებგვერდზე განთავსებული წესები და პროცედურები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.“

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.14 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.14 კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია ამ ხელშეკრულების 12.1.10 ქვეპუნქტში მითითებულ წესებსა და პროცედურებს, ეთანხმება სრულად და აღიარებს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.“

შეიცვალოს ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1.16 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.16 ბანკი უფლებამოსილია პლასტიკური ბარათ(ებ)ის (სადებეტო/საკრედიტო ბარათების) მფლობელ(ებ)ი ჩართოს მიმდინარე წამახალისებელ პროექტში/პროგრამაში ავტომატურად. ამასთან, კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს პროექტში/პროგრამაში მონაწილეობაზე ბანკის ფილიალის, სატელეფონო სერვისცენტრისა და ინტერნეტბანკის საშუალებით შესაბამისი ინფორმაციის ბანკისთვის მიწოდების საფუძველზე.“